აღნიშნული ფორმების ისტორია ნათლად მიგვიჩივებს იმაზე, თუ რისგან არის გამოწვეული სუბიექტის ბრუნვა-ცვალებადობა. მაგალითისათვის რომ ავიღოთ ფრაზა „იღუღებს წყალი“, ენახათ, რომ ამის გვერდით არსებობს სხვა კონსტრუქცია, მისგან ძირითადად განსხვავებული რამდენიმე გრამატიკული ნიშნით: „იღუღებს წყალს“. ბრუნვის შეცვლა (წყალს—წყალი) სულ სხვა-ნაირად წარმოგვიდგენს „იღუღებს“ ზმნას. საქმის ვითარების ნათელსაყოფად ჩამოვწეროთ განსხვავებანი პარალელურად:

A

(იღუღებს წყალს)

a) ზმნა ორპირიანია, რადგანაც ორი პირის გაგებას გვაძლევს, სუბიექტისა და პირს. ობიექტისას. ამის მიხედვით სახელიც ორი ეწყობა: ამხანაგი იღუღებს წყალს.

b) ზმნა ქცევითანია, რადგანაც საპირისპირო ფორმები მოეპოვება: ადუღებს, იღუღებს, უღუღებს. „იღუღებს“ სათავისო ქცევის ფორმაა.

c) ასპექტის მიხედვით ზმნა დაუსრულებელია, მისი დასრულებული სახე იქნება „აიღუღებს“.

d) დროს მიხედვით ზმნა აწმყოა, თუმცა კი შეიძლება მომავლის მნიშვნელობითაც იქნეს ხმარებული.

B

(იღუღებს წყალი)

a) ზმნა ერთპირიანია, რადგანაც მხოლოდ ერთი პირის წარმოდგენას გვაძლევს, მარტო სუბიექტისას. ამის მიხედვით სახელიც ერთი ეწყობა: იღუღებს წყალი.

b) ზმნა უქცეოა, რადგანაც აქლია ქცევის კატეგორიის გამოსაჩენად საჭირო ფორმები.

c) უასპექტოა, რადგანაც სათანადო საპირისპირო ფორმა არ მოეპოვება.

d) მომავალია, აწმყოს მნიშვნელობით „დულს“ იხმარება.

როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში ([4], გვ. 168—169; [7], გვ. 50—53), ორივე რიგის „იღუღებს“ ერთია წარმოშობით, მაგრამ, როგორც შედარებითად ჩანს, ფუნქციონალური დიფერენციაცია ისე შორს არის წასული, რომ ამჟამად ყოვლად შეუძლებელია მათი მიჩნევა ერთი ზმნის ფორმებად. პირიქით, ერთპირიანი „იღუღებს“ ახლა არა ორპირიან „იღუღებს“-თან არის, არამედ ერთპირიან „დულს“-თან, რომელსაც ის დანაკლის ფორმებს უკვებებს ([4], გვ. 168—169; [7], გვ. 50—53).

ზემოთე თქმულის მიხედვით ჩვენთვის „იღუღებს“ (იღუღებს წყალი) ისეთივე გარდაუვალია, როგორც „დულს“, რადგანაც ისინი გაერთიანებულია

ერთპირიანობით და აქედან წარმომდგარი უნართ შეიწყოს მხოლოდ ერთი სახელი. ამიტომ გარდაუვალი „დულს—იდულებს“ ასეთსავე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც გარდამავალი „იდულებს—აიდულებს“.

დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, თავისთავად ცხადია: ერთპირიანი ზმნები „იდულებს“ ტიპისა დღევანდელი ენის სისტემაში გარდაუვალია. მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები, რომლებიც მათ გარდამონაშთის სახით აქვთ შემონახული და რომლებიც ანათესავენ მათ გარდამავალ ზმნებთან, მიგვითითებენ მარტოდენ მათს ისტორიაზე: ისინი გარდამავლებია გენეტურად, წარმოშობის თვალსაზრისით, და არა სინტაქსური კავშირის მიხედვით პირდ. ობიექტთან (რომელიც მათ დღეს აღარ გააჩნიათ), ან მორფოლოგიური ნიშნისა მიხედვით, რომელიც გარდამავალ ზმნას სამპირიანად ან ორპირიანად წარმოგვიდგენს აუცილებლად <sup>(1)</sup>.

გარდამავლობის შინაარსისაგან დაცლა ზმნისა პირდ. ობიექტის დაკარგვასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში: აღნიშნული ტიპის ზმნებს გარდა მას ჩვენ ვხვდებით I უღლების ზმნებთანაც. პირდ. ობიექტთან შეწყობის უნარის დაკარგვასთან ერთად ზმნას პ.-ობ. პირი ეკარგება და სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება, ორპირიანი კი — ერთპირიანი. ორსავე შემთხვევაში ზმნას შეიძლება შერჩეს მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები, რომლებიც მათს წარმოშობაზე მიგვითითებენ, კერძოდ სუბიექტის ბრუნვა-ცვალებადობა, ამის მაგალითებია: „მტკვარმან გარდამოხეთქა“ (მოკცევაჲ ქართლისაჲ, 777); „და მიიმართა კოლტმან მან კლდით კერძო ზღუასა“ (მარკ. 5, 13 აღიშით); გულმა არ მოუთმინა; მონადირემ ირემს სდია; კამათმა დიდხანს გასტანა; შუალამემ მოატანა; ალექსანდრემ თელავს გასწია; „დარეჯანმა ასადგომად წამოიწია“ (ი. ჭავჭ.); გზაში თოვლმა მოგვასწრო; წვიმამ გადაიღო და მისთ.

სავანგებოდ უნდა შევხერდეთ „შეხედვა“ ზმნაზე. ამ ზმნასთან სუბიექტად შეწყობილი სახელი ბრუნვა-ცვალებადია: „ლ უ ა რ ს ა ბ ბ ი დარეჯანს შეხედაეს“ — „ლ უ ა რ ს ა ბ ბ ა დარეჯანს შეხედა“; ობიექტი კი („დარეჯანს“) ბრუნვა-უცვალელებელია, მაშასადამე, ირიბია. ერთ დროს კი ზმნას მეორე ობიექტიც უნდა ჰქონოდა, პირდაპირი, და მის როლში აქ მუდამ ერთი და იგივე სახელი უნდა ყოფილიყო: „თუალნი“ (მრავლ. ფორმით); შეხედაეს თუალთა, შეხედნა თუალნი (მდრ. აღიხილნა თუალნი). დროთა განმავლობაში გამოივარდნილა პირდ. ობიექტი, რადგანაც ის ერთად-ერთი სიტყვით იყო წარმოდგენილი და დაუსახელებლადაც ადვილი იყო მისი გულისხმობა. ამას კი შედეგად მისი სრული დაკარგვა მოჰყოლია. მაგრამ ზმნას შემორჩენია არა მარტო სინტაქსური ძალა გარდამავალი ზმნისა (სუბიექტის დასმა მოთხოვრებითში), არამედ აგრეთვე მორფოლოგიური ნიშანიც: მრავლობითის ინფიქსი ნ: შე(ჰ)ხედ-ნ-ა, მი(ჰ)ხედ-ნ-ა:

<sup>(1)</sup> ამით მოხსნილია საკითხი „ნახევრად გარდამავლობის“ შესახებ ([4], § 70, შენიშვნა). ამ ტერმინის დატოვება შეიძლებოდა გამართლებულიყო მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებით.

„მიხედნა პატრეაქმან იოვანეს“ (იოანე ოქროპირის ცხ., ხელნ., 51 r); „ოდეს დახედნეს ქუეყანასა“ (ამირ.—დარეჯ.);

„სალამო ჟამ დაიზახა ქედით მათმა დარაჯამან:

ნულარა სდგათ, წაედითო, კულა მოგუხედნა რისხვით ცამან“ (ვეფხ. ტყ.).

პირდ. ობიექტის დაკარგვასა და ორპირიანად გადაქცევასთან ერთად ამ ზმნას ადრე დაუწყია პირდ. ობიექტის მორფოლოგიური ნიშნის დაკარგვა: თუ, მაგ., ადიშის ოთხთავში სწერია (ლუკ. 24, 12): „და შთახედნა და იხილნა მჩუარნი ხოლო, რომელნი ისხნეს“, სამაგიეროდ ხანმეტ ვერსიაში ვკითხულობთ: „და შთახედა და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი“. ბრძოლა ამ ზმნის წარიან და უწარო ფორმებს შორის საუკუნეთა მანძილზე იმით დამთავრდა, რომ დღეს სალიტერატურო ენაში მხოლოდ უწარო ფორმა იხმარება: შეხედა, გახედა და სხვ. წარიანი ფორმები შეიძლება დიალექტებში შეგვხვდეს, მაგ. ფშაურში (აქედან ვაქასთან: „შტერად გაჰხედნებს“<sup>1</sup> ზეკასა“: „გველის მკამ“.), ხევსურულში („გახენე“—გახედნე) და სხვ.

ამგვარად, „შეჰხედა“ ზმნა, წარმოშობით გარდამავალი და სამპირიანი, გარდაუვალი გაზდა, რადგანაც დაკარგა გარდამავლობის ნამდვილი ნიშანი, — ბრუნვა-ცვალეზადი ობიექტის მოთხოვნის უწარი და, ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები და ამით ის ორპირიან გარდაუვალ ზმნებში გადაირიცხა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 აკად. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტი  
 თბილისი.

(შემოვიდა რედაქციაში 5.2.1942)

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

Академик А. Г. ШАНИДЗЕ

## К ПРОБЛЕМЕ ПЕРЕХОДНОСТИ ГЛАГОЛОВ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В статье указывается, что морфологическим признаком переходности глаголов в картвельских языках служит наличие прямо-объектных форм, а синтаксическим — способность постановки прямого объекта. Подробное резюме будет приложено к концу второго сообщения.

Академия Наук Грузинской ССР  
 Институт Языка имени акад. Н. Я. Марра  
 Тбилиси

<sup>1</sup> 5 გადმოტანილია I სერიის ფორმაში

დავოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Schuchardt. Über den passiven Character des Transitivs in den kaukasischen Sprachen. Wien, 1895.
2. ა. შანიძე. ქართული ზმნის საქცევი: ტ. უ. მ. 1926, გვ. 312 და შმდ.
3. ა. ჩიქობავა. მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში. 1928, გვ. 184.
4. ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია. 1930.
5. Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. СПб. 1910.
6. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПб. 1914.
7. ა. შანიძე. უღლილება (ქართ. ენა. განაკვეთი VIII—X). 1933 [ლითოგრაფ.].
8. А. Шанидзе. Категория ряда в глаголе. Изв. ИЯИМК, X, 209—229.



აკადემიკოსი პრ. ჩიქობავა

მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში<sup>(1)</sup>

(წინასწარი მოხსენება)

I

ძველ ქართულში მოგვეპოვება უმარცვლო უ-ს შემცველი ფუძეები. ასეთია, მაგალ.:

**სუამ-ს** (ახ. ქართ. **სვამ-ს**), მასდარი **სუმა**; როგორც **სუამ-**, ისე **სუმა** ერთმარცვლიანი ფუძეებია. უ მარცვალს არა ქმნის.

ეს უმარცვლო უ ხმოვნის წინ დაცულია ახალ ქართულშიც—**სვამ-ს**, **სვა**, მაგრამ თანხმოვნებს შორის მ-ს მეზობლობაში დაკარგულია: **სმა**—**სემა**...

მეგრულსა და კახურში თანხმოვნებს შორის ამ უმარცვლო უ-ნის ნაცვლად სრული უ გვაქვს:

შდრ. ქართ. **სმა** — **სემა** (სტმა)

მეგრ. **შუმა**

(კან. **ო-შუმ-უ**)

რატომ დაიკარგა უ ქართ. **სუმა**-ში და რატომ შეგვენახა უ მეგრ. **შუმა**-ში? ცხადია, იმიტომ, რომ მახვილი ქართულში ა-ზე მოდის, მეგრულში უ-ზე: **სტმა** — **შტმა**.

აქედან სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თუ არ იმისა, რომ:

1. ქართულ ფუძეში **სტმა** და მის კანონზომიერ მეგრულ შესატყვისში **შუმა** მახვილი სხვადასხვა ადგილას მოდის:

ქართულში ის უკანასკნელ მარცვალსა ხვდება, ხოლო მეგრულში—**მეორეზე**.

2. მახვილიანი უ მარცვალს ქმნის, უმახვილო, პირიქით, უმარცვლო უ-ს სახით წარმოგვიდგება.

ზემოთქმულის სისწორეს ადასტურებს შემდეგი გარემოება:

1. იმავე მეგრულში სრული ხმოვანი უ შეიძლება უმარცვლო უ-მდე დასუსტდეს, თუ უშუალო მეზობლობაში ხმოვანი გაჩნდა (და უ-ზე მახვილი არაა):

შტმა — „სმა“

შტნს — შუმს „სვამს“

მა-შუმ-ალ-ი „მსმელი“

ო-შუმ-ალ-ი „სასმელი“

(<sup>1</sup> მოხსენდა საქართ. მეცნიერ. აკადემიის საზოგად. მეცნიერ. განყოფ. მეორე სესიას (1941 წლ. 13 ივნისს).



მაგრამ აორისტში: I პ. მა გეტყვი „მე დავლიე“, „შევსვი“

II პ. სი გეტყვი („შენ შევსვი“

ლექსში: გეტყვია, გეტყვია, ახალი დო ჯვეშია!

„შესვიო, შესვიო, ახალი და ძველიო“...

III პ. თიქ გეშუ—გეშე-უ „იმან შესვა“

ბოლოკიდური უ—ო და არის S<sub>3</sub> ა-ს ეკვივალენტი.

ასევე—კავშირებით შესამეში:

მა ვშვა „მე ვსვა“

სი შვა „შენ სვა“

თიქ შვას „მან სვას“

სრული უ უმარცვლოთი შეიცვალა, როგორც კი მეზობლად ხმოვანი გაჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ ისაა მატარებელი მახვილისა.

შდრ. მაშუმალქ შვას—მაშულქ შუას. „მამელმა სვას, მქსოველმა ქსოვოს“...

მომდევნო ხმოვანი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რომ მახვილი მასზე იყოს: შვას—შუას. შეიძლებოდა გვეთქვა: შუას—შუვას „ქსოვოს“ და ამიტომ, რომ უ სრულ ხმოვნად დარჩაო.

მაგრამ ეს არა წყვეტს ამ საკითხს:

თქუას—ზმნაში („თქვას“) უ-ს ვ არ მოსდევდა, მაგრამ სრულხმოვნაიანი უ მოგვცა მეგრულში (იხ. აქვე, ქვემოთ).

2. იმავე ძვ. ქართულში უმარცვლო უ—მარცვალწარმოქმნილი შეიძლება გახდეს:

სუ! ახ. ქართ. სვი!

სუთ! „ „ სვით!

ესეც, რა თქმა უნდა, მახვილზეა დამოკიდებული: სხვა ხმოვანი არა ჩანს, რომ მახვილი მასზე იყოს.

სუმა || შუმა—ფუძის მაგალითის განხილვამ გვაჩვენა, რომ ა. არსებობს კანონზომიერი ურთიერთობა მახვილის ტარება-უტარებლობასა და უ ბგერის რედუქციას შორის: უ—უ: მახვილიანი უ სრული ხმოვანია.

უმახვილო უ ქართულში უმარცვლოა, მეგრულში კი სრულხმოვნობას ინარჩუნებს, სანამ უშუალო მეზობლად სხვა, მახვილიანი, ხმოვანი არ გაჩნდება.

ბ. მახვილი ამ ფუძეში შეიძლება იყოს პირველ მარცვალზედაც ბოლოდან; ეს ითქმის, როგორც ქართულის, ისე მეგრულის შესახებ.

არსებითად იგივე მდგომარეობა გვაქვს ძვ. ქართ. ზმნაში თქუმა—თქუ-ამ-ა ახ. ქართ. თქმა, აწმ. ი-თქუ-ამ-ს (სულთ ითქუამს):

უ-თქუ-ამ-ს: აღ-უთქუ-ამ-ს; გული უ-თქუ-ამ-ს.

ნამ. უსრ. ი-თქუ-ამ-და || ი-თქუ-მ-ი-და

უ-თქუ-ამ-და || უ-თქუ-მ-ი-და

აორისტი: ვ-თქუ ვ-თქუ-თ კავშირ. II ვ-თქუ-ბ ვ-თქუ-ბთ

ს-თქუ ს-თქუ-თ ს-თქუ-ბ ს-თქუ-ბთ

თქუ-ბ თქუ-ბს თქუ-ბს თქუ-ბნ

(<sup>1</sup> ეს -ი ზღვარებისა და არა აორისტის უფუნქციო -ი)

ნ. ხოლმ. ვთქვ—ვთქუ-რ ვ-თქვთ—ვ-თქუთით  
 ს-თქვ—სთქუ-რ ს-თქვთ—ს-თქუ-რით  
 თქვ-ს—თქუ-რ-ს თქვან—თქუ-რან

აწმყოსა (და ნამყო წყვეტილში) მახვილი პრეფიქსზე ჩანს:  
 რ-თქუამს უ-თქუამს

აორისტსა და კავშირებით მეორეში მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზეა; აორისტის პირველსა და მეორე პირში ის ხვდება უ-ს: აქ უ-სრულ-მარცვლიანია: ვ-თქუ, ს-თქუ.

მესამე პირში ბოლო მარცვალს სუფიქსები ქმნიან, მახვილი მათზეა, წინამავალი უ- უმარცვლოა.

უმარცვლოა ის კავშირებითი მეორის ყველა პირში: მახვილი ყველგან ა-სუფიქსზეა.

უმარცვლოა უ- ხოლმეობითშიც, სადაც მახვილის მატარებელი ხოლმეობითის სუფიქსი -ი გამოდის. მეგრულში აორისტს—მესამე პირის გარდა—უმარცვლო უ აქვს, მრავლობითის მესამე პირში—სრული უ:

მა ფთქვრ ჩქი ფთქვრთ  
 სი თქვრ თქვა თქვრთ  
 თიქ თქუ—თქვ-უ თინენქ თქუეს

კავშირებით მეორეში ყველგან მახვილი უ-ზეა:

მა ფთქუ-ა ჩქი ფთქუათ  
 სი თქუა თქვა თქუათ  
 თიქ თქუას თინენქ თქუან(ი)

აორისტში მესამე პირის გამოკლებით მეგრული იმეორებს ძვ. ქართული ხოლმეობითის ვითარებას, რაც საეხებით ბუნებრივია: როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგრ. აორისტის -ი იგივეა, რაც ხოლმეობითის<sup>1</sup> -ი (და არა აორისტის უფუნქციო -ი!)

კავშირებით მეორეში (ისევე, როგორც აორისტის მრავლ. მესამე პირში) უ- სრული ნმოვანია, მახვილის მატარებელი.

ამით განსხვავდება მეგრული ქართულისაგან (ამის გამოკლებით კავშირებითი მეორე ქართულისა და მეგრულისა ერთი და იგივეა).

მაგრამ მეგრული ამ შემთხვევაში ჰანურსაც ისევე შორდება, როგორც ქართულს:

ჰანურს აორისტის მრავლ. მესამე პირშიც უმარცვლო უ- აქვს და კავშირებით მეორეშიც:

აორისტი: ჰემთეფექ თქვეს „იმათ თქვეს“  
 კავშირებ. მეორე: მა ფთქვ „მე ვთქვა“ ჩქუ ფთქვთ „ჩვენ ვთქვათ“  
 სი თქვ „შენ თქვა“ თქვა თქვთ „თქვენ თქვათ“  
 ჰემუქ თქვას „იმან თქვას“ ჰემთეფექ თქვან „იმათ თქვან“

არსად სრული უ არა გვაქვს, ყველგან მახვილი საწარმოებელ ა სუფიქსს ხვდება.

<sup>1</sup> დაწვრილებით ამის შესახებ—ცალკე.





ერთი სიტყვით, ამ ზმნაში ქანური ქართულს იმეორებს. და ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრულშიც ისეთივე მდგომარეობა უნდა გვექონოდა აქ, როგორც ქანურსა და ქართულში გვაქვს, და როგორც იმავე მეგრულში გვაქვს **შუმა** „სმა“—ზმნაში: შვეს—ფშვა, შვა, შვას... (იხ. ზემოთ): მახვილის გადანაცვლება უკანასკნელი მარცვლიდან წინა მარცვალზე მეორეული მოვლენაა. და მაინც ეს მეორეული მოვლენა მეტად საგულისხმოა: მახვილმა ადგილი იცვალა მას შემდეგ, რაც ქანური და მეგრული ერთურთს დასცილდა—ესა უცილობელი დასკვნა, რომელიც აქედან უნდა გაკეთდეს და რომელსაც პრინციპული ღირებულება აქვს ქართველურ ენათა ისტორიისათვის.

მასთან ეს მეორეული მოვლენა ადასტურებს მახვილისა და უ-ს რედუქციის კანონზომიერ ურთიერთობას: უმახვილო უ უმარცვლო, არასრულხმოვანი უ-ა (უ ანუ ახლანდელი ვ) და პირუკუ: ვ (respect. უმარცვლო უ) სრულ უ-დ იქცევა, თუ მას მახვილი მოხვდა.

კი მაგრამ, ასე მსჯელობა ბუნებრივი ჩანს, როცა ახ. ქართ. თქვას, ქან. თქვას და მეგრ. თქუას ფორმებს ვადარებთ ერთმანეთს.

ახ. ქართ. თქვას ვ-ს იყენებს იქ, სადაც ძვ. ქართ. უ იწერებოდა: თქუას. რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძვ. ქართ. თქუას-ში მახვილი ა-ზე იყო და არა უ-ზე, როგორც ეს მეგრულში გვაქვს, ე. ი. საიდან ვიცით, რომ აქ უ უმარცვლოა? აკი თქუას ისევე იწერება უ-თი, როგორც თქუ?

შეიძლებოდა მიგვეთითებინა იმაზე, რომ თქუას-ის მემკვიდრეა ახ. ქართ. თქვას; მაგრამ მას შემდეგ, რაც ქანურსა და მეგრულს სხვაობა აღმოაჩნდათ, და მახვილის ადგილის ისტორიული მონაცვლეობა შესაძლებლადაც მივიჩინეთ, ეს საბუთი საკითხს ვერ გადაწყვიტს; გვეტყვიან: თქვას-ში მახვილი ა-ზეა, მაგრამ ძვ. ქართ. თქუას-ში მახვილი უ-ზე იყო ისევე, როგორც თქუ, თქუთ ფორმებშიაო.

ჩვენთვის საინტერესო ფორმებში უ რომ უმახვილო და უმარცვლო იყო ძვ. ქართულში, ამას ექვ-მიუტანლად მოწმობს მისი დაკარგვა მასდარში:

თქუმა — თქმა (სუმა — სმა) შეუძლებელი იქნებოდა, რომ უ სრული ხმოვანი ყოფილიყო. მაშასადამე, უ სრულ ხმოვანსაც აღნიშნავს ძველ ქართულში და უმარცვლო უ-საც.

და მახვილია ის ფაქტორი, რომელიც უ-ნიშნით გადმოცემული ბგერის ფონეტიკურ ღირებულებას არსებითად ცვლის.

მახვილის ფუნქციას ასეთ შემთხვევაში თელსაჩინოს ხდიან ისეთი შემთხვევები, სადაც უ-გვაქვს მიღებული ვ-თი აღნიშნული ბგერისაგან:

ზღრ. ქართ. რვა  
მეგრ. რუო || ბრუო  
ქან. რვრო—ო-რვ-ო  
სვან. არა

ქანურმა შეგვინახა ვ გადასმით (წინამდევალი ო-პრეფიქსი სვან. ა-ს შესაბამისია, ფუნქცია არა ჩანს!). მეგრულში ვ-ს ადგილას უ გვაქვს და ეს უ-მახვილიანია, უკეთ ვთქვათ: უ იმიტომ გვაქვს, რომ ის მახვილიანია.

და პირუკუ, შეიძლება დავასკვნათ: ძვ. ქართულში გ იმიტომ გვაქვს, რომ მახვილი ა-ზე იყო.

შდრ. აგრეთვე: ქართ. შე-ილ-—შე-  
მეგრ. სქჷ-ა „შეილი“  
მეგრ. ქან. სქ-ი-რ-ი — სქ-ვ-ირ-ი

(შდრ. ქართ. შეიდ—ქან. შქით...)

ძვ. ქართ. გ-ს შესაბამისად მეგრულში სრული უ რომ მივიღეთ, ეს იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ძვ. ქართ. გ და უმარცვლო უ-ს შორის გარდაუვალი ზღვარი არ ყოფილა მიუხედავად იმისა, რომ წერაში გ და უმარცვლო უ ძვ. ქართულში მტკიცეა და გარჩეული (გ-ს უმარცვლო უ-თი შენაცვლების ცალკეული ფაქტებილა გვაქვს: მოიყუანა...)

უ ხმოვნისა და მახვილის ურთიერთობას ჩვენთვის კერძობითი მნიშვნელობა არა აქვს: მასში უნდა ჩანდეს ზოგადი ურთიერთობა ხმოვნის რედუქციასა (დასუსტება-დაკარგვასა) და მახვილს შორის<sup>1</sup>.

თუ ეს ვარაუდი სწორია, იგი სხვა ხმოვნების მაგალითზედაც უნდა დადასტურდეს, მასთან არა მარტო ზმნაში, არამედ სახელშიც.

ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ფუძისეული ხმოვნისა და საწარმოებელი აფიქსის ხმოვნის დაკარგვის ცნობილი მაგალითები.

ზმნათაგან აქ საინტერესოა ჰრქუა, სცა... აორისტში გვაქვს:

მე	ვარქუ (მარქუ)	პატივი	ვეც
შენ	არქუ (გარქუ)	"	ეც
მან	ჰრქუა	"	სცა
ჩუენ	ვარქუთ	"	ვ-ეცით
თქუენ	არქუთ	"	ეცით
მათ	ჰრქუეს	"	სც-ეს

მესამე პირში დაკარგულია ა (არქუ-ზმნაში) და ე (ეც-ზმნაში). მიზეზია სუფიქსები -ა (S<sub>2</sub> მხ.) და -ეს (S<sub>2</sub> მრავლ.). ვვარაუდობთ, რომ პირველსა და მეორე პირში მახვილი სწორედ ამ -ა და -ე-ზე იყო, მესამეში კი ბოლო მარცვალზე, ე. ი. სუფიქსებზე: ვარქუ ვმც

არქუ ეც  
ჰრქუა სცა:

ხმოვნით დაწყებული (I და II პირში) ფუძე მესამე პირში თანხმოვნით დაწყებული აღმოჩნდა და შესაბამისი პრეფიქსები ჰ (ჰ-რქუა) და ს (ს-ცა) გაიჩინა.

საინტერესოა, რომ ეც- ფუძეს მესამე პირშიც შეუძლია ე- შეინარჩუნოს: ე-ც-ა, — და მაშინ ვნებითის მნიშვნელობა აქვს<sup>2</sup>.

პატივ- სცა მან მას — ეცა იგი მას.

ჰრქუა=ზმნაც და- პრევერბის დართვისას ინარჩუნებს ა- ხმოვანს: დაარქვა, მაგრამ ეს ძველ ქართულს არ უნდა ახასიათებდეს, — ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარებოდა უწოდა (ენებ. ეწოდა) ზმნა.

<sup>1</sup> ინდოევროპული ენებისათვის ანალოგიური საკითხი ამგვარადვეა გადაწყვეტილი: იქ მახვილის როლი ამ მხრივ საყოველთაოდ აღიარებულია.

<sup>2</sup> ამას შეუძლია მოგვეცეს ერთგვარი დასკვნა ენებითისა და მოქმედებითის წარმოქმნის ისტორიული ურთიერთობის შესახებ.

ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ქართულში იწვევს ხმოვნისაგან შემდგარი ანდა ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, სვანურში გარდა ამისა—ხმოვნისაგან შემდგარი ანდა ხმოვნით გათავებული პრეფიქსიც ([1] გვ. 7—11).

ქართულში ხმოვნით გათავებული პრეფიქსი, როგორც წესი, არ იწვევს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას.

მაგრამ არის რამდენიმე „გამონაკლისი“:

ზმნები ჯამს, ჩანს, ღვას, ძვეს... კარგავენ ამ ერთად ერთ ხმოვანს, როგორც კი ფუძეს დაერთვის პრეფიქსები მი-, გი-, უ-, გვ-:

ჯამ-ს:	ჩან-ს:	ღვა-ს	ძვე-ს
მი-ჯმ-ს	მი-ჩ(ნ)-ს	მი-ღგ-ს	მი-ც—მი-ძ-ს—მი-ძ(ვე)-ს
გი-ჯმ-ს	გი-ჩ(ნ)-ს	გი-ღგ-ს	გი-ც—გი-ძ-ს—გი-ძ(ვე)-ს
უ-ჯმ-ს	უ-ჩ(ნ)-ს	უ-ღგ-ს	უ-ც—უ-ძ-ს—უ-ძ(ვე)-ს
გვ-ჯმ-ს	გვ-ჩ(ნ)-ს	გვ-ღგ-ს	გვ-ც—გვ-ძ-ს—გვ-ძ(ვე)-ს

ეკვს გარეშეა, ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მიზეზი პრეფიქსისეული ხმოვნის მახვილში უნდა ვიგულოთ.

ქართულისათვის ჩეულებრივია ფუძის შეკუმშვა სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით: ისტორიული აზრი ამ მოვლენისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სათანადო სუფიქსს მახვილი ხვდებოდა:

ძმ-ისა, ღღ-ისა, ძულ-ისა-ს მსგავსად უნდა ყოფილიყო მველ-ისა, მეგობრ-ისა, მასწავლებლ-ისა... მვევალ-, მეგობარ-, მასწავლებელ- ისევე იკუმშებოდა ამგვარი მახვილის ზეგავლენით, როგორც, ვთქვათ, რუს. отел—ნათესაობითში отица... მრავლობითში: отиць, отица...

ზოგ ქართულ კილოში ამჟამად გვაქვს ხმის აწევა მეორე მარცვალზე ბოლოდან; ეს პრინციპულად მეტად საინტერესოა, პრინციპულად, რადგანაც აქ მახვილი მუსიკალური ჩანს<sup>(1)</sup>.

მართალია, ახლა არა გვაქვს მახვილი ზემოხსენებულ სუფიქსებზე; გვეჩოთირება კიდეც, „მეგობრისა“ რომ ვინმემ თქვას; კიდეც უფრო უცნაურად მოგვეჩვენება ხმის აწევა უკანასკნელ მარცვალზე: ი-მარხავ-ს მარხე-ა, შენიშნ-ა-ვ-ს—შენიშვნ-ა, დავედგ—დადგა, მოვკალ—მოკლა...

მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამჟამად დინამიკური მახვილი წინანდელი ინტენსიობისა მოშლილია, ფონეტიკური მწვერვალი აღარა ჩანს სიტყვაში და მწვერვალის ნაცვლად ხმის ოდნავი ამალღება და გვაქვს, ისიც არა ბოლო მარცვალზე.

ეს მეორეული, ანალი მოვლენაა და რომ ასე არ ყოფილა წინათ, იმ ერთ-მარცვლიან სიტყვათაგანაც ჩანს, რომელნიც ორმარცვლიანთაგან მივიღეთ ბოლოკიდურ მარცვალზე მახვილის ტარების შედეგად:

(<sup>1</sup>) ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია მოგვაგონდეს ძველი სომხური, რომლისთვისაც ისტორიულად ამოსავალს შეადგენს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე; ამას კავკასიურ ენათა წრეს იქით არ გავყავართ: Hirt-ი პირდაპირ ამბობს—მეორე მარცვალზე მახვილი სომხურში ინდოევროპულიდან არ გამოიყვანება... ([2], § 122, გვ. 180).

სუმა, თქუმა, დგმა: აქ ჩვენ სრულებით არ გვეჩოთირება „უქანასკნელ“ მარცვალზე ხმის აწევა: სმა, თქმა, დგმა, თუმცა მეგრული (შუმა, დგუმა...) მოწმობს, რომ სტმა, თქტმა, დგტმა-ც შეიძლებოდა მიგვეღო.

უქანასკნელ მარცვალზე დინამიკური მახვილის ქონა გარკვეული დიალექტისა თუ ენობრივი წრისათვის სრულიად უცილობელი ფაქტი ჩანს.

მახვილს ბოლოკიდურ მარცვალზე მიეწერება თავში თანხმოვანთა თავმოყრა:

- ძმა- — ძამ-ა შდრ. ქან. ჯუმ-ა, მეგრ. ჯიმ-ა
- თთუე — თუთ-ე ქან. მეგრ. თუთა
- ჩჩულ- — ჩიჩულ- " ჩჩიჩულ

მახვილიანი ა რომ გადაურჩებოდა დაკარგვას, ამაში ძამ-იკო! ძამ-ო! — მიმართვითი ფორმები — გვემოწმებიან.

აქამდის დადასტურებული შემთხვევები მახვილს ან სუფიქსზე გვიჩვენებდნენ (ძმ-ა-, სუმ-ბ) ან პრეფიქსზე (მრ-ვმ-ს, მრ-ჩ-ს, მრ-ც...)...

აფიქსზე მახვილის ქონა საგულისხმოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მახვილი შეუძლებელი იყო ფუძისეულ მასალაზე.

ფუძისეულ მასალაზე მოქცეული მახვილი აფიქსის ხმოვნის დაკარგვასაც კი იწვევს: ესაა შეკვეცილი დეტერმინანტი სუფიქსები.

- თაფ-ლ- — თაფ-ალ- შდრ. ზან. თოფ-ურ-
- ვაშ-ლ- — ვაშ-ალ- უშქ-ურ-
- მატ-ლ- — მატ-ალ- მუნტ-ურ-
- ცეცხ-ლ- — ცეცხ-ალ- — სე-ცხ-ალ- დაჩხ-ურ-
- ძალ-ლ- — ძალ-ალ- ჯოლ-ორ-
- შდრ. ძმ-ა- — ძამ-ა ჯუმ-ა
- დღ-ე- — დალ-ე- (სვან. ლა-დელ-).

ძმა-ში ფუძისეული -ა- იკარგება სუფიქსზე მახვილის მოხვედრის გამო, აქ კი (თაფლ-, ვაშლ- და მსგავს შემთხვევებში) მახვილი თავიდან პირველ მარცვალზეა და მის ზეგავლენით სუფიქსისეული ხმოვანია<sup>1</sup> დაკარგული.

ბოლოდან მეორე მარცვალზე მოქცეული ეს მახვილი ნამდვილად თავში, პირველ მარცვალზე, დასმული მახვილია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ენის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 26.2.1942)

<sup>1</sup> ამგვარი შესაძლებლობა ცნობილია სხვა ენებიდანაც. ასე, მაგალითად, ლათ. dexter, უმბრ. destre ითვლება dexitero-საგან მიღებულად (იხ. 3] § 57, გვ. 63), აგრეთვე H. Hirt-ის მაგალითი: ფრ. exposition — ინგლ. ექსპოზიციონი (2], § 4, გვ. 18).

Академик АРН. ЧИКОБАВА

## К ВОПРОСУ ОБ УДАРЕНИИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### I

#### Резюме

Путем сравнительного анализа глагольных форм грузинского и занского (чанского и мегрельского диал.) языков, а также структуры именных основ тех же языков, делается определенное заключение о природе и месте ударения в древнегрузинском литературном и занском языках. В отношении ново-грузинского литературного произношения в качестве основного вопроса выдвигается взаимоотношение «словесного ударения» и «фразового ударения» (Л. В. Щерба).

Подробное резюме см. в конце второго сообщения.

Академия Наук Грузинской ССР  
 Институт Языка имени акад. Н. Я. Марра  
 Тбилиси

#### ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანიძე. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის.—ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, ტ. I—II, 1923—24.
2. H. Hirt. Indogermanische Grammatik, I. V. Der Akzent. Heidelberg, 1929.
3. K. Brugmann. Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. Strassburg, 1904.



პლ. შანგიძე

«ინფინიტივის» ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უღურ ენაში<sup>(1)</sup>

I

1. ინფინიტივის წარმოებისა და გენეზისის საკითხი კავკასიურ ენათა სინამდვილისათვის საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს. ცნობილია, მაგალითად, რომ ქართველურ ენებში ინფინიტივი (modus infinitivus) არა გვაქვს<sup>(2)</sup>. იმავე დროს მკვლევართა უმრავლესობა სხვა კავკასიურ ენებში ამ გრამატიკულ კატეგორიას გამოჰყოფდა და მის ფუნქციებსაც ჰპოულობდა. ამგვარადვე, უღურშიაც ყველა მკვლევარი ადასტურებდა ინფინიტივის კატეგორიას, მაგრამ ამ ფორმის წარმოებისა და ფუნქციის საკითხი უღურისათვის დღემდე გარკვეულად ვერ მიიჩნევა.

წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილია სპეციალური საკითხი: უღურ ენაში ინფინიტივად მიჩნეულ ფორმათა მორფოლოგიური დახასიათება და მათი ფუნქციის გათვალისწინება.

2. უღური ენის მკვლევართა (ა. შიფნერის, ა. დირის) მიერ ინფინიტივად მიჩნეული ფორმა წარმოადგენს დასაყრდენს დრო-კილოთა საწარმოებლად. იგი სახელურ-ზმნური ფუძეა და გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ამოსავალს დრო-კილოთა საწარმოებლად, მას გააჩნია დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქციაც. ჯერ კიდევ ა. შიფნერი შეეცადა ამ ფორმის შედგენილობა გაერკვია. იგი ამბობს: „ინფინიტივი არის ზმნური სახელი, რომელიც -სუნ-ზე ბოლოვდება და რომელიც შეიძლება ვაბრუნოთ;... დაბოლოება -უნ-ის ჩამოცილებით ჩვენ მივიღებთ კომპოზიტებში გამოყენებულ ინფინიტივის ფუძეს...“<sup>(3)</sup> ([3], გვ. 28, § 116).

ამგვარსავე დებულებას გვაძლევს (ალბათ ა. შიფნერის დებულების საფუძველზე) ა. დირიც ამ ფორმის შედგენილობის შესახებ. იგი ამბობს: „სუნ არის ყველა უღური ზმნის დაბოლოება განუსაზღვრელობით კილოში,

<sup>(1)</sup> წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის ენათმეცნიერების სექციის სხდომაზე 10.5.1940 ([1], გვ. 147—148).

<sup>(2)</sup> თუმცა, როგორც ეს მითითებულია, ძველ ქართულში იყო ტენდენცია ამ კატეგორიის ჩანასახის გაჩენისა ([2], გვ. 89).

<sup>(3)</sup> „Das Infinitiv ist ein Verbalnomen, das auf *sun* ausgeht, und declinirt werden kann; ... Nach Beseitigung der Endung *sun* erhalten wir den in Compositis üblichen Infinitivstamm“.

იქნებიან ეს ზმნები პირველადნი თუ ნაწარმოებნი“ ([4], გვ. 39). ორივე ავტორი იძლევა ამ ფორმების ფუნქციის დახასიათებასაც, რასაც ქვემოთ შევეხებით.

როგორც ა. შიფნერი, ისე ა. დირიცი სწორად არ ითვალისწინებენ ამ ფორმის შედგენილობას. მის დაბოლოებად ისინი გამოჰყოფენ -ხუნ აფიქსს, ნამდვილად კი ამ ფორმის სპეციფიკურ ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ -უნ სუფიქსი. ამის მიხედვით «ინფინიტივის» ფორმები ამგვარად დაიშლება:

ბეს-უნ — 'კეთება'  
 ქარხეს-უნ — 'ცხოვრება'  
 მანდეს-უნ — 'დარჩენა'  
 აყს-უნ — აყეს-უნ — 'აღება', 'ყიდვა'  
 ცამფეს-უნ — 'წერა' და ა. შ.

ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ -უნ ფორმანტ-ჩამოშორებული ფუძე (ქარხეს-, მანდეს-...) ამ ფორმისა გამოყენებულთა, როგორც ცალკე მორფოლოგიური და სინტაქსური ოდენობა. იმავე დროს ირკვევა, რომ ეს ფუძე უეიცავს თავის მხრით -ეს სუფიქსს, რომელსაც გარკვეული დანიშნულება აქვს და რომელიც დამოუკიდებელია -უნ ფორმანტისაგან. ასეთი ვითარება ნათელია დრო-კილოთა წარმოების გათვალისწინებით უდურში. სახელდობრ, -უნ ჩამოშორებული ფუძე გამოყენებულია დრო-კილოთა I ჯგუფის საწარმოებლად. გვაქვს:

გ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი კ ი ლ ო .

ქ ა რ ხ ე ს - უ ნ — 'ცხოვრება':

I ჯგუფი. ფუძე: ქარ-ხ-ეს:

1. აწმყო:

ზუ	ქარ-ზუ-ხ'სა	(--ქარ-ზუ-ხ-ეს-ა)	— 'მე ვცხოვრობ'
უნ	ქარ-რუ-ხ'სა	(--ქარ-რუ-ხ-ეს-ა)	— 'შენ სცხოვრობ'
შონო	ქარ-რე-ხ'სა	(--ქარ-რე-ხ-ეს-ა)	— 'ის ცხოვრობს'
ჰან	ქარ-ჰან-ხესა		— 'ჩვენ ვცხოვრობთ'
ვან	ქარ-რან-ხესა	(--ქარ-რან-ხ-ეს-ა)	— 'თქვენ სცხოვრობთ'
შონორ	ქარ-ყუნ-ხესა		— 'ისინი ცხოვრობენ'

2. ნამყო უწყვეტელი:

ზუ	ქარ-ზუ-ხ'საჲ	(--ქარ-ზუ-ხ-ეს-ა-ი)	— 'მე ვცხოვრობდი' და ა. შმდ.
უნ	ქარ-რუ-ხ'საჲ	(--ქარ-რუ-ხ-ეს-ა-ი)	
შონო	ქარ-რე-ხ'საჲ	(--ქარ-რე-ხ-ეს-ა-ი)	
ჰან	ქარ-ჰან-ხესაჲ		
ვან	ქარ-რან-ხესაჲ	(--ქარ-რან-ხ-ეს-ა-ი)	
შონორ	ქარ-ყუნ-ხესაჲ		





მაგალითად:

ტია ბაქალლე ოანე ფსუნ (Nom.) ვაა ულხო ყრაქიდესუნ (Nom.) [7], მთ. 8, 12 — იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრქენა.

შეტაბახტინ-თე ზუ-ალ თალაზ ბულკოწბესუნ (Nom.) შოტუ [7], მთ. 2, 8 — რათა მეც წავიდდე, თაყვანივსცე მას.

ტე ვახტა იროდენ ბილიჯილოს ჭაპკინ კალფი აბატუბაქი შოტლოხო ვაბუნ აკესუნუნ (Gen.) ვაღინახ[7], მთ. 2, 7 — მაშინ იროდმა საიდუმლოდ მოიხზო მოგენი, შეიტყო მათგან ვარსკვლავის გამოჩენის დრო.

შეტაბახტინ-თე იროდენ ბუტუყსა ალახ ჭურუკანე ბათევეკესუნუნ (Gen.) ბახტინ შოტუხ [7], მთ. 2, 13 — რადგანაც იროდს სურს, მოსძებნოს ბავშვი მის დასალუპავად (დალუპვისათვის).

იოსიფ, ღარ დავიდი! მა ყავაყიბი მარიამაზ ვი ჩუბლობ აყსუნა (Dat.) [7], მთ. 1, 20. — იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ შეგეშინდება შენი მეუღლის, მარიამის მიღება.

ვაა ისუსა შოტლო ვააბაქსუნა (Dat.) აკი, ფინე ჰალიხო ბითიტუხ [7], მთ. 9, 2 — იესომ რა დანახა მათი რწმენა, უთხრა დასუსტებულს.

ვაა დუნიანი მოლორედესუნახო (Ablat.), შეტაბახტინ-თე გვრგვ ელანე მოლორესტუნა [7], მთ. 18, 7 — ვაი ქვეყანას ცთუნებ ისაგან, რადგანაც უნდა მოვიდეს ცთუნება.

ფასბესან თე-ზ-არე ზუ, ამა თაქმბესუნ-ენკ (Causat.) [7], მთ. 5, 17 — დასარღვევად არ მოესულვარ მე, არამედ აღსრულე ბისათვის.

ში-თე ბუტაა იზხოხ იბაქსუნენკ (Causat.), იმუხ-ყან-ლახი [7], მთ. 11, 15 — ვისაც აქვს ყურნი სმენისათვის, ისმინოს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ინფინიტივად მიჩნეული ეს ფორმა გვაძლევს ქართული ენის მასდარის მსგავს მნიშვნელობას და გამოყენებას.

4. მაგრამ ანალოგიური სინტაქსური ფუნქციით უღურში გამოყენებული გვაქვს -უნ მოკვეცილი ფუძეც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენს დამოუკიდებელს არსებობის სახელს და იძლევა თითქმის ყველა ბრუნვის ფორმას. სახელდობრ, გვაქვს:

მხოლოდობითი რიცხვი (ძირითადი ბრუნვები):

სახელ.	ქარხეს	— ცხოვრება,	ბიყეს — დაკერა.
მოთხრ.	ქარხეს-ინ		ბიყეს-ინ
ნათეს.	ქარხს-აჲ	(— ქარხეს-აი)	ბიყს-აჲ
მიცემ.	ქარხს-ა	(— ქარხეს-ა)	ბიყს-ა
«აკუზ.»	ქარხს-ახ	(— ქარხეს-ახ)	ბიყს-ახ

მაგალითად:

ზუ ფალაზკენა-ზ-ბაქო, თურელ-ალ აა ზეს (Nom.) ბაქალ-თე-ზა [8], 187 — ვე ფალასის (ჩვრის) მსგავსად გავხდები, ფეხზე ადგომა-ც კი არ შემეძლება.

ტე ვახტ დოლდაშვილი ბაყოქო ქომანგა თა დეს (Nom.) [8], 172 — შინ ამხანაგებს შეეძლებათ დასახმარებლად წასვლა.

შეტაბახტინ-თე თე-ვა-ბაქო სა ფოდნუხ-ყა-ნ ე მაწიბეს ე მააინბეს (Nom.) [7], მთ. 5, 36 — რადგანაც ვერ შესძლებ ერთი თმის ბეწვის გათეთრებას ან გაშავებას.

ვაა ევახ თე ჯინნუხ ქევენეი, ლალენ ბურრევი აითფესახ (Akk.) [7], მთ. 9, 33 — და როდესაც ავი სული განაძევა, მუნჯმა დაიწყო ლაპარაკი.

ვაა ბურყუნეი სუმბჰლოხ ჩუქსახ (Akk.) ვაა უქსახ [7] მთ. 12, 1 — და დაიწყეს თავთავის მოწყვეტა და ქამა.

მე აქლაჰინ ბულ ტუნეკურიფსინ (Instr.) თაცინე, სა ქურრუ ბითი. [8], 112 — ამ ბოროტი სულის თავი ტრიალით წავიდა, ერთ ორმოში ჩა-ვარდა.

ვაა კუა ბაესხოლან (Comit.) აყოი ალაახ მარიამახოლ [7], მთ. 2, 11 — და შინ შესვლის თანავე დაინახა ბავშვი მარიამთან.

ეს ფორმაც ა. შიფნერს და ა. დირს მიაჩნიათ ინფინიტივად. ა. დირი მას უწოდებს „ძირეულ ინფინიტივს“ (infinitif radical). სახელდობრ, იგი ამბობს: „განუსაზღვრელობითი კილო — ძირი (infinitif radical) წარმოადგენს არსებითად შეკვეცილს განუსაზღვრელობით კილოს. რომ ეს ფორმა ვაწარმოთ, საჭიროა მოვაცილოთ -უნ პირველადს (primitif) განუსაზღვრელობითს კილოს და აღვადგინოთ საბოლოო განუსაზღვრელობითს კილოში (infinitif terminaison) ხმოვანი ე, ამოღებული სრულ ფორმაში“ ([4], გვ. 43).

მართალია, როგორც ა. შიფნერს, ისე ა. დირს საერთოდ სწორად აქვს აღნიშნული ამ ფორმის წარმოება, მაგრამ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება მისი კვალიფიკაციის საკითხი. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, ეს ფორმა თითქოს წარმოადგენს სახელს და თავისი ფუნქციით ის უახლოვდება, მაგალითად, ქართულ მასდარს ([9], გვ. 176 შმდ.). ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ ფორმის (ისევე როგორც -უნ სუფიქსიანი ფორმის) ფუნქციის განსაზღვრა და ზუსტი კვალიფიკაცია<sup>1</sup>.

5. ა. დირი, ზემოთ მოხსენებულის გარდა, ინფინიტივის ცალკე ფორმად გამოპყოფდა კიდევ სამ ფორმას ([4] გვ. 44), თუმცა თვითონვე აღნიშნავდა ამ ფორმათა კავშირს შეკვეცილი ინფინიტივის ფორმასთან, რამდენადაც ორი მათგანი (Akk. ბიყსახ, Instr. ბიყსინ) გარკვეულად ბრუნვის ფორმებს წარმოადგენენ. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ (გვ. 4), ამ შემთხვევაში ამ ფუძიდან შესაძლებელია სხვა ბრუნვათა ფორმების წარმოებაც და ამიტომ საჭირო იქნებოდა მათი ინფინიტივის ფორმებად გამოყოფა, რაც ა. დირს აღარ მოუხდენია.

საყურადღებოა და ცალკე განხილვას თხოულობს ფორმა, რომელიც ა. დირს აგრეთვე ინფინიტივად მიაჩნია და რომლის მაწარმოებლად გვე-

<sup>1</sup> «ინფინიტივის» ორივე ფორმა ნი უღურ კილოში იმგვარადვე იწარმოება, როგორც ეს უკრთაშნულში გვაქვს. ამიტომ არ მოგვეყვს ნიუღურის მასალები.

ლინება -ან სუფიქსი: ბ ი ყ ს - ა ნ —რათა დაიჭიროს || დასაჭერად, ც ა მ ფ ე ს - ა ნ —რათა დაწეროს || დასაწერად, ა კ ს - ა ნ —რათა დაინახოს || დასანახავად.

მაგალითად:

...თე და ამაკე შეტა გაბუნახ ბეჲლ ჰელალაჰ ვეა არეჲან შოტუ ბუღ-კოწბესან [7], მთ. 2, 2 —...რომ ჩვენ დავინახეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთით და მოვედით მის თაყვანისსაცემად.

ფ ა ს ბ ე ს ა ნ თ ე - ზ - ა რ ე ზ უ, ა მ მ ა თ ა მ ბ ე ს უ ნ ე ნ ე [7], მთ. 5, 17 —დასარღვევად არ მოვსულვარ მე, არამედ —აღსრულებისათვის.

...მანორ-თე ეყუნსაჲ შეტა ტოლოლ ხაჩესან [7], მთ. 3, 7 —რომელნიც მოდიან მასთან მოსანათლავად.

ჰ არ ლ ი ს ო მ ა ნ ნ ე დ ე ს ა კ უ ა ხ ო რ ა გ ბ ო ხ ს ა ნ. [8], 104 —ყოველ დღე ერთი რჩება შინ საქმლის მოსახარშავად.

ა. შიფნერი ამ ფორმას სთვლიდა სუპინად; იგი ამბობს: „ამ (ინფინიტივის) ფუძიდან იწარმოება აგრეთვე სან-ზე დაბოლოებული სუპინუმი“ ([3], გვ. 28, § 117)<sup>(1)</sup>.

აღნიშნული ფორმა გარკვეული ფუნქციის მატარებელია და მას პარალელი მოეპოვება სხვა კავკასიურ ენებშიც. ფორმა მოითხოვს სპეციალურ განხილვას.

აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ფორმა გამოხატავს მიზნურობის კატეგორიას და ფუნქციით თითქოს უახლოვდება ძველ ქართულში მასდარის მიმართულებითი ბრუნვის ხმარებას გარკვეულ შემთხვევაში<sup>(2)</sup>. ინფინიტივის ფორმას იგი არ უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.1.1942)

<sup>(1)</sup> „Von diesem Stamm wird auch das auf -ან auslautende Supinum gebildet...“ უნდა აღინიშნოს, რომ აქ ფორმანტია -ან და არა -ხან, როგორც ამას ა. შიფნერი ვარაუდობს თითქოს.

<sup>(2)</sup> მაგალითად, „რამეთუ მეგულეების მე საქმე საშინელი მიითხოვბად და უწყებად თქუენდა“ ([10], გვ. ა, 12—13).

В. Л. ПАНЧВИДЗЕ

ОБРАЗОВАНИЕ И ЗНАЧЕНИЕ ФОРМ «ИНФИНИТИВА» В УДИНСКОМ  
ЯЗЫКЕ

I

Резюме

Дается морфологический анализ форм «инфинитива» в удинском языке (выделяются аффиксы **-უბ** **-un** и **-ეს** **-es** для этой категории) и выясняются их функции.

Во второй части будут рассмотрены вопросы квалификации этой категории в удинском языке сравнительно с аналогичной категорией в других языках. Там же будет дано общее резюме.

Академия Наук Грузинской ССР  
Институт Языка им. Н. Я. Марра  
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო სესია 1940 წ. 7—11 მაისს. მოხსენებათა თეზისები. გვ. 147—148.
2. არნ. ჩიქობავა. ინფინიტის დიალექტური ვარიაციები ზუნძურში (ავარულში). ენიმკი-ს მოამბე, ტ. I. ტფილისი, 1937.
3. A. Schiefner. Versuch über die Sprache der Uden. S.-Petersburg, 1863.
4. А. Дурр. Грамматика удинского языка. Сб. МОМПК, XXXIII. Тбилиси, 1903.
5. G. Dumézil. Introduction à la grammaire comparée des langues Caucasiennes du Nord. Paris, 1933.
6. ვლ. ფანჩვიძე. ავუზატის გენეზისისათვის უღურ ენაში. ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI. თბილისი, 1940.
7. „უღური (ოპოთავი“ თარგმანი ს. ბეჟანოვისა). Сб. МОМПК, XXX. Тбилиси, 1902.
8. Рустам (უღური ზლაპარი). Сб. МОМПК, VI. Тбилиси, 1888.
9. არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი, 1936.
10. წარტყუენვა იერუსალმისაჲ. „Тексты и разыск. по армяно-грузинской филологии“ т. IX, 1909, ред. и перев. Н. Я. Марр.



ბ. როგავა

კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის  
მოკფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევისა და ბრუნვებში)

I

ქცევის კატეგორია ქართველური ენების ზმნებში პირველად სპეციალური  
კვლევის საგნად აქცია ა. შანიძემ [1].

ამ [1] გამოკვლევაში ა. შანიძე ქართული ზმნისათვის ვარაუდობდა  
ხუთ ქცევას: საარვისოს, სათავისოს, სასხვისოს, სათანოსა და საზედაოს.  
შემდეგში მანვე უფრო დაზუსტებული განმარტება მისცა ქართული ზმნის ამ  
თავისებურ კატეგორიას. სახელდობრ: ქცევა გამოხატავს კუთვნილებით  
ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტებს შორისო.

ამის საფუძველზე ზმნის ქცევები, სრულიად ბუნებრივად, დაიყვანა სამამ-  
დის: საარვისო, სათავისო და სასხვისომდე ([2], გვ. 104).

ქცევის ფორმა ამათში გააჩნია მხოლოდ სათავისოსა და სასხვისოს: „ვ-ი-  
კეთებ მე მას“, „მ-ი-კეთებს ის მე მას“, ე. წ. საარვისო ქცევა ფორმით არ  
არის გამოხატული. იგი არც უნდა ყოფილიყო რაიმე აფიქსით წარმოდ-  
გენილი.

რამდენადაც ე. წ. საარვისო ქცევის ფორმა, მაგალითად, აშენებს ის  
მას, ტეხს ის მას და სხვა, არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას,  
ამდენადე იგი ვერ დაუპირისპირდება ქცევის ფორმებს.

აქედან, ა აფიქსი ზმნებში ა-მაგრებს, ა-დიდებს, ა-კეთებს და  
სხვა, არ შეიძლება ჩაითვალოს ქცევის გამოხატველად. ეს აფიქსი სულ სხვა-  
გვარ ახსნას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, დანარჩენი ორი ქცევიდან, სათავისო ქცევა  
გამოხატავს სუბიექტის კუთვნილებას: სუბიექტი მოქმედებს თავისთვის ან  
თავისაზე, ხოლო სასხვისო ქცევა კი გამოხატავს ირიბი ობიექტის  
კუთვნილებას, სუბიექტი მოქმედებს სხვისთვის ან სხვისაზე.

ყველა ქართველური ენის ზმნებში სათავისო ქცევას ნიშნად მოუძის  
ი პრეფიქსი, ქართული—ვ-ი-კეთებ, ი-კეთებ, ი-კეთებს; მეგრული—  
ვ-ი-კეთენქ, ი-ბ-კეთენქ|ი-კეთენქ, ი-კეთენს; სვანური—ხ-ი-სყი,  
ხ-ი-სყი, ი-სყი.

სასხვისო ქცევის საწარმოებელია აგრეთვე ი პრეფიქსი, როცა ირიბი ობიექტი წარმოდგენილია პირველი ან მეორე პირით და თითქოს უ პრეფიქსი ქართულსა და მეგრულში, ხოლო მისი შესატყვისი ო პრეფიქსი სვანურში, როცა ირიბი ობიექტი დგას მესამე პირში.

მაგალითად, ქართული—მ-ი-კეთებს მე, გ-ი-კეთებს შენ, უ-კეთებს მას; მეგრული—მ-ი-კეთენს მა, გ-იკეთენს სი, უ-კეთენს თის; სვანური: მ-ი-სყი მი, გ-ი-სყი სი, ხ-ი-სყი ეჯას.

სათავისო ქცევა მხოლოდ გარდამავალი ზმნის კუთვნილებაა, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში იგულისხმება ყოველთვის პირდაპირი ობიექტი, რომელზედაც მოქმედებს სუბიექტი. ვ-ი-შენებ სახლს—ჩემთვის ვაშენებ სახლს, ვიბან ხელს—ჩემს ხელს ვბან. სათავისოს ფორმისათვის აუცილებელია და საკმარისიც ზმნასთან ორი პირის შეწყობა: სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა.

მხედველობაში არ გვაქვს ისეთი ერთპირიანი სათავისოს ფორმიანი ზმნები, როგორცა ვ-ი-ღვიძებ, ვ-ი-ძინებ ვა-ვ-იციწებ, და სხვა, რომელთაც პირდაპირი ობიექტი დაუკარგავთ.

ირიბი ობიექტი სათავისო ქცევის ფორმიან ზმნას არ შეეწყობა, ძირითადი სამპირიანი ზმნები, როგორცაა დაჰკრა, დააწება, დაარტყა და სხვა, სათავისოს ფორმაში ირიბ ობიექტს მხოლოდ თანდებულთ შეიწყობენ: „დაიკრა მან ხელი მუხლზე“ „და-იწება მან ფურცელი წიგნზე“ და სხვა.

სასხვისო ქცევისათვის გარდამავალი ზმნა ვარაუდობს სამ პირს: სუბიექტს, ირიბ ობიექტსა და პირდაპირ ობიექტს. სუბიექტის მოქმედება, რომელიც ვადადის პირდაპირ ობიექტზე, განკუთვნილია ირიბი ობიექტისათვის. „ივანემ მეზობელს მოუჭრა ხე“, იქნება: ივანემ მეზობლისათვის მოჭრა ხე, ანდა მეზობლის ხე მოჭრა.

რამდენადაც სასხვისო ქცევის ფორმა გულისხმობს ირიბი ობიექტის კუთვნილებას, ამდენადვე გარდაუვალ ზმნებსაც შეიძლება ჰქონდეს ასეთი ფორმა. მაგალითად, ის ზის: ის უ-ზის მას; ის მოვიდა: ის მო-უვიდა მას. „ის უზის მას“ ფორმაში იგულისხმება: ის მისაზე (სხვისაზე) ზის, ან მისთვის (სხვისთვის) ზის. ასევე, „ის მოუვიდა მას“: ის მისი (სხვისი) მოვიდა, ან მისთვის (სხვისთვის) მოვიდა.

ქცევა მხოლოდ კუთვნილებითს მხარეს გამოხატავს. განსხვავება სათავისოსა და სასხვისო ქცევების ფორმათა შორის მხოლოდ იმაშია, თუ ვის კუთვნილებას წარმოადგენს ნამოქმედარი ან მოქმედება: სუბიექტისას თუ ირიბი ობიექტისას. კუთვნილების აფიქსად ორსავე შემთხვევაში გვევლინება ი-პრეფიქსი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქცევისეულადვე მიჩნეულ უ ო პრეფიქსს (მესამე პირში), რომელიც სხვაგვარ ახსნას მოითხოვს, ე. ი. დიფერენცირებულ კუთვნილებას ჰქმნის არა სხვადასხვა აფიქსი, არამედ ორსავე შემთხვევაში ერთი და იმავე კუთვნილებითი ი-აფიქსის სხვადასხვა პირთან, ხან სუბიექტთან, ხან ირიბ ობიექტთან დაკავშირება. მაგალითად, ზმნის ფორმაში



„ამხანაგი მ-ი-ქერს მე“ აფიქსი ო გამოხატავს სუბიექტის—ამხანაგის კუთვნილებას (სათავისო ქცევა), ხოლო ფორმაში „ამხანაგი მ-ი-ქერს მე ჩიტს“—იგივე ი- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტის კუთვნილებას (სასხვისო ქცევა).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აფხაზური ვითარება: აფხაზურში სათავისოს და სასხვისოს შინაარსის ვადმოსაცემად გვაქვს ერთი და იგივე აფიქსი ზ. შინაარსობლივ დიფერენციაციას ჰქმნის მისი დაკავშირება ამათუიმ პირთან, მაგალითად, ი-ს-ზგ-ყა-ს-წოიტ რალაცას ჩემთვის (მესათვის) მე ვაკეთებ უდრის რალაცას ვიკეთებ (სათავისოს შინაარსით); ი-უ-ზგ-ყა-ს-წოიტ რალაცას შენთვის (ვაყო) მე ვაკეთებ—შენ ვიკეთებ (სასხვისოს შინაარსით), ი-ლ-ზგ-ყა-ს-წოიტ რალაცას მისთვის (ქალისათვის) მე ვაკეთებ—უკეთებ მას რალაცას (აქაც სასხვისოს შინაარსით).

ქართველური ენების უ აფიქსის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას შემდეგი: ეს აფიქსი არ უნდა იყოს წარმოშობით ქცევის გამოხატველი. ქცევის ფუნქცია მას შემდეგ უნდა ჰქონდეს დაკისრებული. რამდენადაც ქცევა ოდენ კუთვნილებით მომენტს გამოხატავს, ამდენადვე აუცილებელია, ზმნას საშივე პირისათვის ერთი და იგივე ნიშანი ჰქონოდა. ქართველური ენებისათვის, როგორც ავლუტინაციურიისათვის, ეს მოსალოდნელიც უნდა იყოს.

უ- აფიქსის პირვანდელი ფუნქცია საძიებელია.

ი- ქცევის აფიქსის ორგვარი მიმართება: ან სუბიექტის კუთვნილების, ანდა ირიბი ობიექტის კუთვნილების გამოხატვა შეიძლება აიხსნას შემდეგით: ამ აფიქსს, ჩამოყალიბების პროცესში, საფიქრებელია, გარდამავალ ზმნასთან სუბიექტის კუთვნილება გამოეხატა (სათავისო ქცევა), ხოლო გარდაუვალ ზმნასთან კი—ირიბი ობიექტის კუთვნილება (სასხვისო ქცევა).

რამდენადაც ორპირიანი გარდამავალი ზმნა სუბიექტთან ერთად გულისხმობს პირდაპირ ობიექტსაც, ჩვეულებრივ რაიმე ნივთს, ამიტომ ბუნებრივი იყო ასეთ შემთხვევაში გამოხატულიყო სუბიექტის კუთვნილება. „ვ-ი-ბან ხელს“—ჩემს ხელს ვბან, „ვ-ი-ჭრი პურს“ ჩემთვის ვჭრი პურს. ყურადღება აქ მიქცეულია სუბიექტის კუთვნილებაზე.

სასხვისო ქცევის ფორმიანი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა ნაწარმოებია ერთპირიანი ზმნის საფუძველზე. ის ზის: ის უზის მას. სუბიექტს ემატება აქ ირიბი ობიექტი. რამდენადაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მოქმედება არ ეხება ობიექტს, ამდენადაც შეუძლებელი ხდება სუბიექტის ასეთი მოქმედება მსვე სუბიექტის სასარგებლო გახდეს. ასეთ შემთხვევაში კუთვნილებითი მომენტის შეტანას ირიბი ობიექტი მოითხოვდა. „მომივიდა ის მე“—ის, ჩემი, მოვიდა ან ჩემთვის მოვიდა.

კუთვნილებითი მომენტის გამოხატვა დასჭირდებოდა, როგორც გარდაუვალ ზმნას, ისე გარდამავალსაც. გამოყენებულ იქნა ერთი და იგივე მასალა, რომელმაც გარდამავალსა და გარდაუვალში მიიღო ნაწილობრივი შინაარსობლივი დიფერენციაცია.

რაც შეეხება სასხვისო ქცევის ფორმიან სამპირიან გარდამავალ ზმნებს. ვფიქრობთ, ის უფრო შემდეგი დროის ნაწარმოები უნდა იყოს. გარდაუვალ ზმნებთან უკვე ჩამოყალიბებული იყო სასხვისოს ფორმა და შემდეგში გამოიყენა ის გარდამავალმა ზმნამაც.

ამნაირად, ვასკვნით: სათავისო და სასხვისო ქცევათა აფიქსი ერთი და იგივეა, რამდენადაც ისინი ძირითადად ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ: ეს ფუნქციაა—კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა.

წარმოდგენილი მოსაზრების სისწორეს უფრო დამაჯერებლად ვახდის მტკიცება ქცევის ო აფიქსის გენეზისის შესახებ.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ისეთი აფიქსები, როგორცაა პირის ან რიცხვისა, ნაცვალსახელობრივი წარმოშობისაა. ამის საუკეთესო ილუსტრაციას იძლევიან აფხაზური-ადიღურის ჯგუფის ენები, სადაც პირის აფიქსებით თითქმის ყველგან სავსებით ემთხვევიან პიროვნებითსა და ჩვენებითს ნაცვალსახელებს.

ქართველური ენების ქცევის აფიქსი **ი-** პირს არ გამოხატავს, მაგრამ მას არსებითი კავშირი აქვს პირთან. იგი მიუთითებს პირის (სუბიექტის ან ირიბი ობიექტის) კუთვნილებითს მხარეზე. ამიტომაც შეიძლება ამ თავითვე მივიღოთ, რომ ქცევის აფიქსი **ი-**ც ნაცვალსახელობრივი წარმოშობისაა. რამდენადაც **ი-** აფიქსი ოდენ კუთვნილებითი შინაარსის მატარებელია, ცხადია, ის მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან მიღებული უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ ისეთი კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან, რომელიც მხოლოდ კუთვნილებას გამოხატავს პირის გარეშე (არა ისეთისაგან, როგორცაა ჩემი, შენი, თქვენი, მისი და სხვა, სადაც წარმოდგენილია გარკვეული პირის კუთვნილება). ასეთი კუთვნილებითი ნაცვალსახელი დამახასიათებელია ადიღურის ენებისათვის: მაგალითად:

**ს-ი-უნა** ჩემი სახლი. შედგება **ს(ა)**—პირველი პირის ნაცვალსახელი, **ი**—კუთვნილებითი ნაცვალსახელი, **უნა**—სახლი, ე. ი. **სიუნა** იქნება „მეს“ სახლი. ასევეა სხვა პირებშიც: **უ-ი-უნა** შენი სახლი. **უ(ა)**—შენ—მეორე პირის ნაცვალსახელი, **ი-უნა** მისი სახლი, მესამე პირი (მისი) წარმოდგენილია ნულ-აფიქსით.

ადიღურის ენების **ი-**, უპირო კუთვნილებითი ნაცვალსახელი, წარმოშობით მესამე პირისა უნდა იყოს. იგივე **ი-** ზმნაში გამოყენებულია მესამე სუბიექტური პირის აფიქსად.

ადიღურის ნაცვალსახელი **ი-** შესატყვისია რუსული **свой** უპირო კუთვნილებითი ნაცვალსახელისა (**я взял свою книгу, ты взял свою книгу, он взял свою книгу**).

ამნაირად, ზმნის ფორმა **მე მო-მ-ი-ვიდა ამხანაგი**: სიტყვა-სიტყვით იქნება: ჩემი ამხანაგი, „მეს“ ამხანაგი, „მე-თავისი“ ამხანაგი მოვიდა, ანდა ჩემთვის, „მე-სათვის“ მოვიდა ამხანაგი; **შენ მოგ-ი-ვიდა ამხანაგი**: შენი ამხანაგი, „შენ-თავისი“ ამხანაგი მოვიდა, ან შენთვის მოვიდა ამხანაგი; ანდა **ვ-იკეთებ ზმნის ფორმაში** ვაკეთებ „მესას“ ვაკეთებ და ასე სხვა პირებშიც.





ქტევის კატეგორია უძველესი წარმოშობისა უნდა იყოს ქართველურ ენებში. პირის აფიქსების ჩამოყალიბების პროცესშივე უნდა ჩამოყალიბებულყო ქტევის აფიქსებიც. პიროვნებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები პირის აფიქსის ფუნქციით და კუთვნილებითი ნაცვალსახელი ქტევის აფიქსის ფუნქციით ერთდროულად უნდა შეპზრდოდა ზმნას. მი-ზის ფორმა მიღებული უნდა იყოს ასე: „მე-თავისი“ ზის.

საყურადღებო პარალელს იძლევა ამ მხრივ ადიღური ენები. ქართველური ენების ქტევისეულ ი- აფიქსად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელის სრული მორფოლოგიური ბადალი ი- პრეფიქსი ვერ გავრცელებულა საერთოდ ქტევის საწარმოებლად, ვინაიდან ქტევის ფუნქციის გამომხატველად ამ ენებში გამოდის სხვა აფიქსები: ზ- აფიქსი სათავისოს ფუნქციის გადმოსაცემად, ძვ, ჰივ (ქვემო-ადიღურში) პრეფიქსები სასხვისოსათვის; თანაც ეგვეე ი- კუთვნილებითი ნაცვალსახელი ზმნას გამოუყენებია მესამე პირის აფიქსად, როგორც ამას ვარაუდობს ნ. იაკოვლევი ([3], 84).

მაგრამ არის თითო-ოროლა შემთხვევა, როცა ი- კუთვნილებითი ნაცვალსახელიც ქტევის (სასხვისო ქტევის) შინაარსის გამომხატველია. მაგალითად, ყაბარდოული ზმნა ს-ი-ცვ-ს, მაქეს, მყავს, შედგენილია ასე: ს- პირველი პირის აფიქსი, ი- კუთვნილებითი აფიქსი, ცვს, —ყოლა, ქონა, ე. ი. ს-ი-ცვს, იქნება: „მე-სი“ არის. სხვა პირებში: ჟ-ი-ცვს, (ჟ-მეორე პირის აფიქსი)—შენი არის, ი-ცვს—მისი არის. ადიღური ს-ი-ცვს; ისეთივე აგებულებისაა, როგორიც ამავე მნიშვნელობის მეგრული ზმნა მი-ილუ, გ-ილუ, უ-ლუ (მაქეს, გაქეს, აქეს).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირის აფიქსები ჩამოყალიბდა პიროვნებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან, ქტევის აფიქსი კი კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან უნდა იყოს მიღებული. ასეთი კუთვნილებითი ნაცვალსახელი არც ერთ ქართველურ ენას არ შემოუნახავს აქამდის ცალკე მონაცემად ისევე, როგორც უმეტეს შემთხვევაში არ შემონახულა პირის აფიქსთა წინა, პრონომინალური, სახე.

ამნაირად, ქტევის ი- აფიქსში ჩვენ ვვარაუდობთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნაშთს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.2.1942)

Г. В. РОГАВА

 АФФИКС ПРИТЯЖАТЕЛЬНОСТИ В МОРФОЛОГИЧЕСКИХ  
 КАТЕГОРИЯХ ГЛАГОЛА И ИМЕНИ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

## I

## Резюме

Автором рассматривается вопрос о генезисе аффикса *oi*, наличного в субъектной и объектной версиях глагола, а также в падежных окончаниях (родит., творит.) имен картвельских языков.

Подробное резюме будет приложено ко второму сообщению.

Академия Наук Грузинской ССР  
 Институт Языка имени акад. Н. Я. Марра  
 Тбилиси

## ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანიძე. ქართული ზმნის საქცევი. ტფილისის უნივერსიტეტის შთამბე, ტ. VI, 1926.
2. ა. შანიძე. ქართული გრამატიკა, მორფოლოგია. 1930.
3. Н. Ф. Яковлев. Краткая грамматика адмггейского (осетского) языка. 1930.



Ответственный редактор акад. Н. И. Мусхелишвили

Подписано к печати 26.2.1942 г. Объем 7,75 печ. форм. Авторских листов 10  
 Колич. тип. зн. в 1 печ. листе 52,000. УЭ 6132. Заказ № 62.  
 Тираж 600 экз.

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, улица А. Церетели, 7.



ბეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

ა. ჯანელიძე. საქართველოს ბელტის პრობლემა. II . . . . . 137  
 \*A. N. Džaneldze. Проблема Грузинской глыбы. II . . . . . 142

ტექნიკური ფიზიკა—ТЕХНИЧЕСКАЯ ФИЗИКА—TECHNICAL PHYSICS

A. A. Аваков. Экспериментальное исследование износа резов при малых скоростях резания. Сообщение первое . . . . . 145  
 \*ა. ავაკოვი. საჭრისების გაცვეთის ექსპერიმენტალური გამოკვლევა მცირე სიჩქარეებით ლითონების კრის დროს. I . . . . . 150  
 \*A. Avakoff. Experimental study of the wear of cutting-tools at small speeds. I . . . 151

გობტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

Л. Л. Декапрелевич. Роль Грузии в происхождении пшеницы. Сообщение второе . . . . . 153  
 \*ლ. დეკაპრელევიჩი. საქართველოს როლი ხორბლების წარმოშობაში. II . . . . 160

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

C. M. Юзбашьян. О подвилах и внутривидовой дифференциации у Troglodaris kutaissiana Sadowsky. Сообщение второе . . . . . 161  
 \*ს. იუზბაშიანი. ქუთაისის მღვიმის კრევეტის ქვესახეობებისა და სახეობის შიგნითი დიფერენციაციის შესახებ. II . . . . . 165  
 \*S. Jusbaschjan. On the subspecies and intraspecies differentiation in Troglodaris kutaissiana Sadowsky. II . . . . . 166

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

И. Бериташвили, А. Брегадзе и Л. Цкипуридзе. Электроэнцефалографические исследования. Сообщение первое . . . . . 169  
 \*ი. ბერიტაშვილი, ა. ბრეგაძე და ლ. ცკიპურიძე. ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევები. I . . . . . 174  
 \*J. Beritoff, A. Bregadze and L. Tskipuridze. Investigations in the electroencephalography. I . . . . . 175

ენათმეცნიერება—ЯЗЫКОВЕДЕНИЕ—LINGUISTICS

ბ. ქვეციანიძე. „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში. I . . . . . 177 +  
 \*K. S. Kekelidze. К синтаксической функции предлогов „წინაშე“, „თანა“ и „ზედა“ в древнегрузинском. I . . . . . 182  
 ა. შანიძე. ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში. I . . . . . 183  
 \*A. G. Šaniadze. К проблеме переходности глаголов в картвельских языках. I . . . 188  
 \*არნ. ჩიქობავა. მანვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. I . . . . . 191 +  
 \*Арн. Чикобава. К вопросу об ударении в древнегрузинском языке. I . . . . . 198  
 ვლ. ფანჩიძე. „ინფინიტივის“ ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უძველეს ენაში. I . 199  
 \*В. л. Панчвидзе. Образование и значение форм «инфинитива» в удинском языке. I . . . . . 205  
 გ. როგავა. კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში). I . . . . . 207  
 \*Г. В. Рогова. Аффиксы притяжательности в морфологических категориях глагола и имени в картвельских языках. I . . . . . 212

ფასი 3 რუბ.  
ЦЕНА 3 РУБ.

29  
29  
ВЕС АН АКАД НАУК  
ГРУЗИН. ССР  
КАБИНЕТ БИБЛИОТЕКИ  
1. 19  
თბილისი  
1941

УТВЕРЖДЕНО  
Президиумом Академии Наук Грузинской ССР  
8.4.1941

## ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях» помещаются краткие статьи научных работников Академии Наук Грузинской ССР и других ученых, содержащие наиболее существенные результаты их исследований.

2. «Сообщениями» руководит Редакционная коллегия, избираемая Общим Собранием Академии Наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно (в конце каждого месяца), за исключением июля и августа, выпусками около 5 печ. листов каждый. Совокупность выпусков за год (всего 10 выпусков) составляет один том.

4. Статьи печатаются на одном из следующих языков: грузинском, русском, немецком, французском, английском. Все статьи, кроме статей на грузинском языке, обязательно снабжаются резюме на грузинском языке. Статьи на грузинском языке обязательно снабжаются резюме на русском языке. Статьи могут быть также снабжены резюме на любом из вышеуказанных языков, по желанию автора.

5. Размер статьи, включая резюме и иллюстрации, не должен превышать половины авторского листа (20 тыс. печ. знаков). Соотношение размеров основного текста и резюме определяется самим автором. В частности, резюме может быть заменено полным переводом, при условии, чтобы общий размер статьи и перевода не превышал указанной выше нормы.

6. Статьи, предназначенные к напечатанию в «Сообщениях», направляются в Редакцию, которая для авторов, являющихся действительными членами Академии Наук, лишь устанавливает очередность публикации. Статьи же остальных авторов, как правило, передаются Редколлегией для отзыва одному из действительных членов Академии Наук или же какому-либо другому специалисту по данной области, после чего вопрос о напечатании статьи решается Редколлекцией.

7. Статьи должны представляться автором в совершенно готовом для печати виде, вместе с резюме и иллюстрациями. Формулы должны быть четко вписаны от руки. Никакие исправления и добавления после принятия статьи к печати не допускаются.

8. Данные о цитируемой литературе должны быть возможно полными: необходимо указывать название журнала, номер серии, тома, выпуска, год издания, полное заглавие статьи; если цитируется книга, то необходимо указать полное заглавие, год и место издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях, следует указывать номер по списку, включая его в квадратные скобки.

10. В конце статьи и резюме авторы должны указывать, на соответствующих языках, местонахождение и название учреждения, в котором проведена работа. Статья датируется днем поступления в редакцию.

11. Автору предоставляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (обычно не более суток). В случае невозвращения корректуры к сроку, редакция вправе печатать статью без авторской визы.

12. Авторы получают бесплатно 50 оттисков своей статьи и выпуск «Сообщений», содержащий эту статью.

Адрес редакции: Тбилиси, ул. Дзержинского, № 8.